თემატური ანგარიში

უფლებადამცველთა მდგომარეობა საქართველოში - დაბრკოლებები და გამოწვევები

2020

თბილისის
ადამიანის
უფლებათა
სახლი

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის შესახებ:

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც 2010 წელს, „ადამიანის უფლებათა სახლების ფონდის“ მხარდაჭერით დაფუძნდა. ამჟამად მსოფლიოს 11 ქვეყანაში ადამიანის უფლებათა 17 სახლი ფუნქციონირებს.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლში გაერთიანებულია ხუთი ორგანიზაცია: „ ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „უფლებები საქართველო“, „მედიის ინსტიტუტი“, „საფარი“ და „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი წევრი ორგანიზაციების სახელით იცავს და აძლიერებს უფლებადამცველებს და მათ ორგანიზაციებს, ასევე ახორციელებს ადამიანის უფლებების შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობას.

ავტორი: ელენე ჯანელიძე

ხელმძღვანელი: ნათია თავბერიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: აკაკი გახოკიძის 11ა 0179, თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 32 2 38 20 18

ელექტრონული ფოსტა: info@hrht.ge

ვებგვერდი: www.hrht.ge;
http://humanrightshouse.org/Members/Georgia/index.html

დათქმა:

დოკუმენტი მოამზადა თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მიერ, ადამიანის უფლებათა სახლების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

პროექტის შესახებ:

ანგარიში მომზადდა პროექტის - „შეფასება ქმედებისთვის: უფლებადამცველების უკეთესი დაცვა და გაძლიერება ხორვატიაში, საქართველოსა და სერბეთში“ („Assessment to Action: Improving the Protection and Empowerment of Human Rights Defenders in Croatia, Georgia and Serbia“) ფარგლებში. არსებული ანგარიში არის საერთაშორისო კვლევის ნაწილი, რომელიც თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა განახორციელა ადამიანის უფლებათა სახლების ფონდის (ოსლო) მხარდაჭერით, ზაგრების და ბელგრადის ადამიანის უფლებათა სახლებთან თანამშრომლობით.

სარჩევი

შესავალი *5*

ანგარიშის შესახებ **8**

მთავარი მიგნებები *11*

სტანდარტი: საჯაროდ დაუჭირეთ მხარი უფლებადამცველებს *15*

საკანონმდებლო ჩარჩო **15**

სახელმწიფოს მიერ უფლებადამცველების და აქტივისტების მხარდაჭერა **17**

სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი უფლებადამცველების მხარდაჭერა **22**

სტანდარტი: იბრძოლეთ დაუსჯელობის წინააღმდეგ, იყავით ანგარიშვალდებული *24*

სტანდარტი: დაიცავით უმცირესობათა დამცველები *28*

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დამცველთა წინაშე არსებული ბარიერები .. **28**

ლგბტქ+ ადამიანთა უფლებების დამცველთა უფლებრივი მდგომარეობა **33**

სტანდარტი: დაიცავით უფლებადამცველი ქალები *41*

სტანდარტი: ხელი შეუწყეთ მშვიდობიან საპროტესტო აქციებს *44*

სტანდარტი: გაითვალისწინეთ კრიტიკული მოსაზრებები *48*

სტანდარტი: უზრუნველყავით მედიაზე წვდომა და მედიის არჩევის თავისუფლება *51*

სტანდარტი: გაზარდეთ ბიზნესის პასუხისმგებლობა *55*

შესავალი

უფლებადამცველები[1] არიან ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, სხვადასხვა სახის მშვიდობიანი აქტივობებით იბრძვიან უფლებადარღვევების წინააღმდეგ. სწორედ ასე აღწერს გაერო-ს 1998 წლის „უფლებადამცველების შესახებ დეკლარაცია“[2] უფლებადაცვით საქმიანობას (მუხლი 1). აღნიშნული დეკლარაცია „უფლებადაცვით საქმიანობად“ მოიაზრებს ნებისმიერი ტიპის საქმიანობას, პროფესიას თუ სფეროს - რომელშიც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, გაერთიანება თუ ასოციაცია მუშაობს ადამიანის უფლებების დასაცავად, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ის ფაქტი, რომ უფლებადამცველები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, მშვიდობის გაძლიერებასა და ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ეფექტიან დაცვაში, სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებით და მექანიზმებით არის აღიარებული.[3] აღნიშნული დოკუმენტები, მათ შორის გაერო-ს მიერ 1998 წელს მიღებული „უფლებადამცველების შესახებ დეკლარაცია “ მკაფიოდ განმარტავს თავად უფლებადამცველების დაცვისა და მხარდაჭერისთვის აუცილებელ ძირითად პრინციპებს.

საერთაშორისო დონეზე უფლებადამცველების დაცვის მიზნით შექმნილი გარანტიების მიუხედავად, უფლებადამცველების დევნისა და შევიწროების

---

[1] ტერმინი უფლებადამცველი მოიაზრებს აქტივისტსაც - რომელიც ასევე ხშირად გამოიყენება.

[2] დეკლარაციის სრული სახელია „ადამიანების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დეკლარაცია, ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ” , მიღებული გაეროს გენერალური ასამბლიის მიერ 1998 წლის 9 დეკემბერს რეზოლუციით A/RES/ 53/144.

[3]განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაერო-ს უფლებადამცველების შესახებ სპეციალური მომხსენებლის მანდატი და მის მიერ გამოცემული ანგარიშები და რეკომენდაციები. იხილეთ: https://bit.ly/3lgqqLn

ტენდენცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ისევ აქტუალურია.[4] ამ პრობლემამ საქართველოშიც იჩინა თავი, განსაკუთრებით ბოლო წლებში. სწორედ ამიტომ, 2018 წელს საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშს დაემატა ცალკე თავი უფლებადამცველების შესახებ. როგორც ამ ანგარიშშია აღნიშნული, უფლებადაცვით სფეროში მომუშავე *„ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი პირები ხშირად ხდებიან თავდასხმის ობიექტები, მათ შორის, ხელისუფლების მხრიდან. ... საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე, თუ დამოუკიდებლად მოქმედი აქტივისტების წინაშე არაერთი ისეთი გამოწვევა დადგა, როგორიცაა: დისკრედიტაცია, ფიზიკური თუ სიტყვიერი თავდასხმა, დაშინება და სხვა.“*[5]

ქართველი უფლებადამცველების წინააღმდეგ მიმართული ცილისმწამებლური კამპანიები, უფლებადაცვითი ორგანიზაციების საქმიანობის დისკრედიტაცია სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლების და მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან - ეს ის პრობლემებია, რომლებმაც არაერთხელ იჩინა თავი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში და ადგილობრივი თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ მიმართვებსა და განცხადებებშიც აღინიშნა.[6] განსაკუთრებით შესამჩნევია

---

[4] იხილეთ უფლებადამცველების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის 2018 წლის ანგარიში: https://bit.ly/3pZzpEl

[5] იხილეთ სახალხო დამცველის განცხადება: http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf

[6] იხილეთ თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის განცხადებები:

“არასამთავრობო ორგანიზაციები გორში მშვიდობიანი აქციის მონაწილის მიმართ ჩადენილ ძალადობრივი ქმედებაზე ადეკვატურ რეაგირებას ითხოვენ”, 24 ოქტომბერი, 2018, იხ: https://bit.ly/3lPmsK8

“თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი და მისი წევრი ორგანიზაციები ქვეყანაში დაწყებულ „დაჭერებს“ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ პირთა რეპრესიად აფასებს”, 9 აგვისტო. 2019, იხ: https://bit.ly/368qtEX

“შემაშფოთებელია ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მხრიდან უფლებადამცველების მისამართით გამოთქმული ცილისმწამებლური და პიროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი მიმართვები”, 6 თებერვალი, 2019, იხ: https://bit.ly/3qGcChw

ულტრანაციონალისტური და ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფების მხრიდან ძალადობის შემთხვევები, მათ შორის ფიზიკური თავდასხმის შემთხვევები უფლებადამცველებზე. განსაკუთრებული ზეწოლისა და საფრთხის წინაშე ლგბტქ+ აქტივისტები და უფლებადამცველები აღმოჩნდნენ.[7]

იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს უფლებადამცველთა უფლებრივი მდგომარეობა, ასევე იმისათვის, რომ მათ შეძლონ უსაფრთხო გარემოში განახროციელონ უფლებადაცვითი საქმიანობა, აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ სახელმწიფოს მხრიდან საჯარო მხარდაჭერა და ხელშეწყობა. ადამიანის უფლებათა სახლის მიერ მომზადებული თემატური ანგარიშის მიზანია, გამოავლინოს ის მთავარი გამოწვევები და დაბრკოლებები, რასაც საქართველოში მცხოვრები უფლებადამცველები აწყდებიან. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული ანგარიში ახლო მომავალში ხელს შეუწყობს უფლებადამცველთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული დისკუსიების და სხვადასხვა სექტორებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ინიცირებას.

---

[7] „თბილისი პრაიდი: საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ლგბტ თემისა და მათი უფლებების დამცველების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა“, 19 ივნისი, 2019, იხ: https://bit.ly/3gpUYK2

ანგარიშის შესახებ

წარმოდგენილი ანგარიში მომზადებულია უფლებადამცველების შესახებ არსებული საერთაშორისო დოკუმენტების, ასევე საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე ხელმისაწვდომი ანგარიშების/ინფორმაციის მოკვლევით და ქართველ უფლებადამცველებთან ჩატარებული 11 ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად.

ჩაღრმავებული ინტერვიუებისთვის თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა რესპონდენტებად შეარჩია უფლებადაცვითი სფეროს აქტიური წარმომადგენლები - ისინი, ვინც მუშაობენ იმ საკითხებზე, რომლებიც სხვადასხვა ანგარიშების,[8] მათ შორის სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, განსაკუთრებით პრობლემურ საკითხებად არის გამოყოფილი. ეს საკითხებია: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები, ლგბტქ+ ადამიანის უფლებები, გამოხატვის თავისუფლება, სასამართლო სისტემა, თანასწორობა, ქალთა უფლებები და სხვა.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მიერ დაგეგმილი ჩაღრმავებული ინტერვიუები ეფუძნებოდა ადამიანის უფლებათა სახლების ფონდის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს. სტანდარტების მიზანია, უფლებადამცველების საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და მექანიზმების ეროვნულ დონეზე დანერგვა და გავრცელება. ამასთანავე, ეს სტანდარტები ხელს უწყობს საერთაშორისო პრინციპების შესახებ ცნობადობის გაზრდას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა გლობალური ტენდენცია სამოქალაქო სექტორს და მათ შორის, უფლებადამცველებს, სულ უფრო და უფრო ზღუდავს. ინტერვიუს პროცესში

---

[8] მაგ: „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ანგარიშები:
https://www.hridc.org/index.php?a=main&pid=137&lang=ge
„ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის“ ანალიტიკური დოკუმენტები:
https://emc.org.ge/ka/topic?type=33
„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ყოველწლიური
ანგარიშები:https://transparency.ge/ge/annual-reports
და სხვ.

რესპონდენტები ამ სტანდარტების საფუძველზე აფასებდნენ იმ პრობლემებს და ტენდენციებს, რომლებიც უფლებადამცველების დაცვის სფეროში საქართველოში, 2018-2020 წლებში გამოიკვეთა.

უფლებადამცველთა დაცვის სტანდარტები: [9]

1) საჯაროდ დაუჭირეთ მხარი უფლებადამცველებს
2) ნუ მოახდენთ უფლებების დაცვის კრიმინალიზებას
3) შეწყვიტეთ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე შეზღუდვები
4) პატივი ეცით არასამთავრობო ორგანიზაციის დამოუკიდებლობას
5) თავი აარიდეთ რეგისტრაციისა და იურიდიულ შეზღუდვებს
6) შეწყვიტეთ ნებისმიერი ფორმის რეპრესია
7) შეწყვიტეთ უკანონო დაკავება და დაპატიმრება
8) გაითვალისწინეთ კრიტიკული მოსაზრებები
9) უზრუნველყავით მედიაზე წვდომა და მედიის არჩევის თავისუფლება
10) ხელი შეუწყეთ მშვიდობიან საპროტესტო აქციებს
11) იბრძოლეთ დაუსჯელობის წინააღმდეგ, იყავით ანგარიშვალდებული
12) გაზარდეთ ბიზნესის პასუხისმგებლობა
13) დაიცავით უფლებადამცველი ქალები
14) დაიცავით უფლებადამცველი იურისტები
15) დაიცავით უმცირესობათა დამცველები
16) დაიცავით უფლებადამცველთა ოჯახის წევრები

---

[9] სტანდარტების ინსპირაციის წყარო არის უფლებადამცველებთან და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რეზოლუციები. იხ. ანგარიში „უფლებადამცველთა უფლებები“, 2019: https://humanrightshouse.org/wp-content/uploads/2018/12/Rights-of-Defenders_GEO.pdf

მოკვლევის პირველ ეტაპზე, ინტერვიუების დაგეგმვისას, ყურადღება გამახვილდა იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოში ყველაზე პრობლემურად მიიჩნევა. შესაბამისად, რესპონდენტებთან ჩატარებული ინტერვიუები ამ თემების განხილვას დაეთმო. წინამდებარე ანგარიშში მიმოხილული საკითხები/თავები არის ის პრობლემური საკითხები, რომლებიც რესპონდენტთა პასუხების თემატური ანალიზის შედეგად გამოვლინდა.

რესპონდენტები:

- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“
- „EMC - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი”
- „თბილისი პრაიდი“
- ნატა ფერაძე - „პარტიზანული მებაღეობა“
- „მედიის ინსტიტუტი“
- „PHR - პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის”
- სამირა ბაირამოვა - სამოქალაქო აქტივისტი
- „საფარი“
- „GDI - საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“
- მოძრაობა „სირცხვილია“
- „უფლებები საქართველო“

მთავარი მიგნებები

- ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან არ ხდება უფლებადამცველების და აქტივისტების საჯარო მხარდაჭერა, რაც გააძლიერებდა მათ და ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ადამიანის უფლებების უკეთ დაცვას. უფრო მეტიც, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, ნაცვლად ჯანსაღი დისკუსიისა, ამა თუ იმ საკითხზე გამოთქმული კრიტიკული მოსაზრების გამო ხშირად მკვეთრად უპირისპირდებიან უფლებადაცვით ორგანიზაციებს და მათ წარმომადგენლებს.

- რესპონდენტების აზრით უფლებადამცველების საჯარო მხარდაჭერა არც სხვა სექტორის/სფეროს წარმომადგენლების მხრიდან ხდება და ზოგადად, უფლებადამცველებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობა იშვიათია.

- რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უფლებადაცვითი საქმიანობის შესახებ საზოგადოება სათანადოდ ინფორმირებული არ არის. ასევე, პრობლემურ საკითხად დასახელდა ისიც, რომ სახელმწიფო დონეზე არ არსებობს უფლებადამცველების უფლებების დაცვის ხელშემწყობი პოლიტიკის დოკუმენტი, ან საკანონმდებლო რეგულაცია. პოლიტიკის ასეთი დოკუმენტი/რეგულაცია ხელს შეუწყობდა უფლებადამცველების საქმიანობისთვის უკეთესი გარემოს შექმნას და მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მონიტორინგს. აღნიშნულის არსებობა კავშირშია ასევე უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიან გამოძიებასთან, რაც რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

- თითქმის ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ულტრანაციონალისტური, ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფები, რომლებიც ღიად უპირისპირდებიან უფლებადამცველებს და ზოგადად, ლიბერალური იდეების მქონე ადამიანებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ნეონაცისტური ჯგუფის

წარმომადგენლების მიერ უფლებადამცველის - ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე: ამ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დაადგინა ეთნიკური შეუწყნარებლობისა და/ან ქსენოფობიური მოტივი, რაც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება უნდა იყოს და ბრალდებულები დამნაშავედ მხოლოდ ჯგუფური მკვლელობის ბრალდებით ცნო.

- რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ უფლებადამცველები და აქტივისტები სოციალურ ქსელებში ხშირად ხდებიან ორგანიზებული, კოორდინირებული თავდასხმის და მიზანმიმართული დისკრედიტაციის მსხვერპლნი, განსაკუთრებით - ულტრანაციონალისტური ჯგუფების მხრიდან. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, სახელმწიფო სტრუქტურები სათანადოდ არ იძიებენ ძალადობრივი/ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ ჩადენილ დანაშაულებს და ამ პრობლემის წინააღმდეგ სახელმწიფოს კონკრეტული, ქმედითი ნაბიჯები დღემდე არ გადაუდგამს.

- ლგბტქ+ უფლებების დამცველები მუდმივად განიცდიან ზეწოლას, მუქარას და ჩაგვრას. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათი კონსტიტუციური უფლებების დაცვას. რესპონდენტების უმრავლესობა იხსენებს 2019 წლის ივნისის მოვლენებს, როცა თბილისში პრაიდის ჩატარება იყო დაგეგმილი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი თბილისი პრაიდის ორგანიზატორებს განუცხადა, რომ ვერ უზრუნველყოფდა მათი შეკრების თავისუფლებას. გაძლიერებული ჰომოფობიური ჯგუფები ლგბტქ+ უფლებადამცველებს ღიად დაემუქრნენ და მედიასაშუალებების მეშვეობით მათი დევნის კამპანია დააანონსეს.

- გარდა ამისა, ქსენოფობიური მოტივით ზეწოლასა და თავდასხმას განიცდიან ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დამცველები. განსაკუთრებით კი ის აქტივისტები, რომლებიც თავად არიან ამ ჯგუფის წარმომადგენლები და ხმას იმაღლებენ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციის შესახებ.

- ინტერვიუების მსვლელობისას არაერთხელ აღინიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უფლებადამცველებთან, თუმცა პრობლემურია ღია თანამშრომლობა პრინციპულ საკითხებზე - იმ საკითხებზე, რომლებზეც არასამთავრობო სექტორს კრიტიკული პოზიცია აქვს. გარდა ამისა, რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად არ იზიარებენ/ითვალისწინებენ უფლებადამცველთა კრიტიკულ მოსაზრებებს, რაც მათი აზრით, მნიშვნელოვანი პრობლემაა. აქტივისტები აღნიშნავენ, რომ სოციალურ ქსელებში, თანამდებობის პირთა საჯარო გვერდებზე ხშირად ეზღუდებათ საკუთარი აზრის/პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა, რადგან ის ადამიანები, რომლებიც სოციალური ქსელების გვერდებს მართავენ, მათ ხშირად ბლოკავენ.

- ინტერვიუების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ რამდენიმე შემთხვევაში სახელმწიფომ შეკრების თავისუფლება არაპროპორციულად შეზღუდა. ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც საპროტესტო აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი არსებობდა, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალა გასცდა თანაზომიერების სტანდარტს. რესპონდენტების უმრავლესობამ გაიხსენა 20 ივნისის ღამის აქცია და აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ მომიტინგეების წინააღმდეგ არ იყო გამოყენებული პროპორციული ძალა - აქციის დაშლას წინ არ უძღოდა წინასწარი გაფრთხილება, რაც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სავალდებულოა.

- რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში კრიტიკული მედიასაშუალებები ან ჟურნალისტები მთავრობის მხრიდან ხშირად განიცდიან ზეწოლას. ხელისუფლების მიერ გადადგმული სხვადასხვა ნაბიჯები აჩენს განცდას, რომ ხელისუფლება არ არის მზად ქვეყანაში უზრუნველყოს თავისუფალი მედიაგარემო. ამ მხრივ რესპონდენტებს განსაკუთრებით

პრობლემურად მიაჩნიათ 2019 წლის ზაფხული, როდესაც პოლიტიკური პროცესების კვალდაკვალ, ხელისუფლება დაუპირისპირდა იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს.

- რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქალი უფლებადამცველები არიან ორმაგი სტიგმის მსხვერპლნი და ხშირად მათი საჯარო კრიტიკა გენდერული ჩაგვრის ნიშანს ატარებს. რამდენიმე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ქალ უფლებადამცველებს ხშირად არა მათი საქმიანობის, არამედ მათი გარეგნობის, პირადი ცხოვრების, სექსუალობის ან ჩაცმულობის გამო აკრიტიკებენ.

სტანდარტი: საჯაროდ დაუჭირეთ მხარი უფლებადამცველებს

საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის სპეციალურ ნორმატიულ დაცვას. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს და არ ცნობს იმ თავისებურებებს, რაც უფლებადაცვით საქმიანობას ახლავს და იმ რისკებს, რომლებიც ამგვარ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. უფლებადამცველთა როლის და მნიშვნელობის აღიარებისკენ პოზიტიური ნაბიჯი საქართველოს სახალხო დამცველმა 2018 წელს გადადგა. მისი ინიციატივით, სახალხო დამცველის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშს დაემატა ცალკე თავი - ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ.[10] ამით ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ უფლებადაცვითი საქმიანობისთვის ხელის შეშლა არის კონკრეტული ტიპის პრობლემა და სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, რომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ქვეყანაში ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ასევე მისასალმებელია, რომ 2018 წლიდან საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ დაიწყო უფლებადამცველთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკის აღრიცხვა და მონიტორინგი. შემუშავდა ადამიანის უფლებათა სამმართველოს მიერ უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ რეკომენდაცია.[11] აღნიშნულ რეკომენდაციაში აღწერილია საერთაშორისო სტანდარტები და თავისებურებები, რომლებიც უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს ახლავს.

---

[10] იხილეთ საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში: http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf

[11] „საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ნათია მერებაშვილმა ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა“, 8 ოქტომბერი, 2020, იხ: https://bit.ly/2LlrqC1

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთხსენებული რეკომენდაცია მოიცავს „უფლებადამცველის“ საქმიანობის და დაცვის სტანდარტების შესახებ განმარტებებს, მსგავსი განმარტებები არ არსებობს ნორმატიულ და პოლიტიკის დონეზე. შესაბამისად, ეს სარეკომენდაციო დოკუმენტი, ჯერჯერობით, უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიან აღრიცხვას და ზედამხედველობას ვერ უზრუნველყოფს.

წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში უფლებადამცველებთან და აქტივისტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ მათი საქმიანობისთვის უკეთესი გარემოს შესაქმნელად და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გადასაჭრელად, საჭიროა არსებობდეს კონკრეტული მექანიზმი, პოლიტიკის დოკუმენტი ან საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც უფლებადამცველთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსით, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა დასჯადია. მოკვლევის ფარგლებში გამოკითხული უფლებადამცველების ნაწილის აზრით, აუცილებელია, რომ არსებობდეს მსგავსი დაცვის სტანდარტი, რომელიც კონკრეტულად უფლებადამცველთა საქმიანობას დაარეგულირებს.

უფლებადამცველთა საქმიანობისთვის უსაფრთხო გარემოს შესახებ საუბრისას აღინიშნა, რომ საგამოძიებო ორგანოები, გამოძიებისას ხშირად სთხოვენ უფლებადამცველებს წყაროს ვინაობის გამხელას. პრობლემაა ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ცნობს ტერმინს - „უფლებადამცველი“ და შესაბამისად, არ აქცევს უფლებადამცველებს ისეთივე საგამონაკლისო წესის ქვეშ, როგორიც მოქმედებს მაგალითად ჟურნალისტებზე. (მაგ. სსსკ მუხლი 95 – ჟურნალისტს პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება არ აქვს და ის არ შეიძლება მოწმედ იყოს დაბარებული საქმეზე). ინტერვიუს მსვლელობისას „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი მექანიზმის არარსებობის გამო, არსებობს შემთხვევები, როცა საგამოძიებო სტრუქტურებში იბარებენ უფლებადამცველს და აიძულებენ, რომ წყარო გათქვას.

პროფესიული საქმიანობისას უფლებადამცველებს ისეთივე სენსიტიურ ინფორმაციასთან უწევთ შეხება, როგორც - ჟურნალისტებს. ნიშანდობლივია, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი“ სხვა დანარჩენ გამონაკლის შემთხვევებთან ერთად ახსენებს ტერმინს - „უფლებადამცველი“ და ხაზს უსვამს, რომ პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენს *„უფლებადამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალურობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას.“* (მუხლი 1).

ამ კანონის მიხედვით, უფლებადამცველების პროფესიული საიდუმლოს წყარო დაცულია. თუმცა, როგორც პრაქტიკიდან ირკვევა, იმის გამო, რომ მხოლოდ ეს კანონი ადგენს ასეთ სტანდარტს და ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ გვხვდება, ხშირად უფლებადამცველებისთვის რთულია პროფესიული საიდუმლოების დაცვის გარანტიებით სარგებლობა. როგორც რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ უფლებადაცვითი საქმიანობა და უფლებადამცველის ცნება ნორმატიულ დონეზე განმარტებული არ არის.

სახელმწიფოს მიერ უფლებადამცველების და აქტივისტების მხარდაჭერა

გაერო-ს გენერალური ასამბლეის და ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციით, უფლებადამცველთა დასაცავად და გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია სახელმწიფო მოხელეების ოფიციალურ განცხადებებსა და პოზიციებში აღინიშნოს უფლებადამცველების სასიკეთო როლი დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შენარჩუნების საქმეში. პოლიტიკურმა ლიდერებმა უფლებადამცველებზე ძალადობისა და მათი დისკრიმინაციის შემთხვევებში, *„უნდა ცალსახად გამოხატონ მათი უარყოფითი დამოკიდებულება მსგავსი პრაქტიკის მიმართ.“* პოლიტიკურ ლიდერებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ საჯაროდ აღიარონ

ის მნიშვნელოვანი როლი, რაც აკისრიათ უფლებადამცველებს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების გაძლიერებაში.[12]

ამასთან, საქართველომ როგორც ევროსაბჭოს წევრმა ქვეყანამ სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად, აიღო ვალდებულება და მათ უნდა: *„უზრუნველყონ უფლებადამცველებისთვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა; თავი შეიკავონ ცილისმწამებლური კამპანიების წარმოებისგან უფლებადამცველების და სხვა სამოქალაქო აქტივისტების და მათი ოჯახის წევრების წინააღმდეგ; დაგმონ მსგავსი კამპანიები თუ მათ აწარმოებს კერძო ინსტიტუტი.“*[13]

უფლებადამცველებთან და აქტივისტებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა, რომ საქართველოში ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან უფლებადამცველთა საჯარო დისკრედიტაცია გადაუჭრელ პრობლემად იქცა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია უფლებადაცვითი ორგანიზაციების წინააღმდეგ აგორებული ცილისმწამებლური კამპანიები. რესპონდენტებმა გაიხსენეს ბოლო წლებში უფლებადამცველების დისკრედიტაციის პრობლემური შემთხვევები:

2018 წლის 1-ელ ოქტომბერს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, სადაც ხელმომწერმა ორგანიზაციებმა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მძიმე კრიზისის გამო შეშფოთება გამოხატეს.[14] ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმული იყო სახელმწიფოში კორუფციის მაღალი დონე და არაფორმალური მმართველობა, რის გამოც არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვდნენ, რომ ხელისუფლებას სათანადო ზომები მიეღო.

---

[12] ეს ვალდებულებები გაწერილია: 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/ HRC/RES/22/6), OP 5; და 2015 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაშიც (UN Doc: A/ RES/70/161), OP 4 და OP 21.

[13] ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2225 (2018) უფლებადამცველების დაცვაზე ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში, მუხლი 5.;

[14] „არაფორმალურმა მმართველობამ დემოკრატიული ინსტიტუტების კრიზისი გამოიწვია“ 1 ოქტომბერი, 2018, იხილეთ: https://bit.ly/33PBrgP

უფლებადამცველების კრიტიკის საპასუხოდ, საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა წამოიწყეს ცილისმწამებლური კამპანია სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ. 2018 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ არასამთავრობო ორგანიზაციების 13 ხელმძღვანელი „პოლიტიკურ დაინტერესებაში „დაადანაშაულა და ამ ორგანიზაციებს „ სამოქალაქო საზოგადოების “ ნაცვლად, „პოლიტიკური გაერთიანებები“ უწოდა.[15]

საქართველოს იუსტიციის იმჟამინდელმა მინისტრმა, თეა წულუკიანმაც გააკრიტიკა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და განაცხადა, რომ „ისინი წარმოადგენენ პოლიტიკურ ძალებს; [⋯] ჩვენ მზად ვართ დავარეგისტრიროთ ისინი პოლიტიკურ პარტიებად.“[16]

თბილისის მერმა კახა კალაძემ ასევე საჯაროდ გააკრიტიკა არასამთავრობო ორგანიზაციები და აღნიშნა, რომ ისინი „ძირითადად შექმნილია “ნაცმოძრაობის” მიერ და ან ხიბლში არიან, ან ვალში. “ [17] მსგავსი მწვავე განცხადებების მიზეზი სავარაუდოდ, იყო წინასაარჩევნო პერიოდი. 2018 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდის ანალიზისას, საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო ორგანიზაციამ – „ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ “ გამოაქვეყნა ანგარიში მაღალჩინოსნების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოებაზე უპრეცედენტო ზეწოლის შესახებ, სადაც აღწერილია ის თავდასხმები, რომლებსაც პოლიტიკური ლიდერები ახორციელებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებზე. ანგარიშში აღწერილია, რამდენად პრობლემური

---

[15] „ირაკლი კობახიძე: საქართველოში არის ჩამოყალიბებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „არასამთავრობო სექტორი“, 3 ოქტომბერი, 2018, იხილეთ: https://ghn.ge/news/212342

[16] „თეა წულუკიანი: 13 არასამთავრობო ორგანიზაცია რეალურად პოლიტიკური პარტიები არიან“, 3 ოქტომბერი, 2018, იხილეთ: https://bit.ly/3gqF5mM

[17] „კახა კალაძე - არასამთავრობოები ძირითადად შექმნილია "ნაცმოძრაობის" მიერ, ისინი ან ხიბლში არიან, ან ვალში, არ უნდა გაგვიკვირდეს მათი სიჩუმე ამაზრზენ განცხადებაზე“, 8 ოქტომბერი, 2018, იხილეთ: https://bit.ly/3kr08FQ

იყო წინასაარჩევნო პერიოდი და როგორი „ უპრეცედენტო კოორდინირებული თავდასხმის პირობებში უწევდათ საქმიანობა“ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს.[18]

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მოხელეები საჯარო განცხადებებით არათუ მხარდაჭერას არ უცხადებენ არასამთავრობო სექტორს, არამედ ღიად უპირისპირდებიან მათ. სამწუხაროდ, მტრული რიტორიკა სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ლიდერების წინააღმდეგ, ახალი არ არის: 2015 წელს ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფოსთვის „ძირის გამოთხრაში“ დაადანაშაულეს.[19]

„ ხელისუფლებას სურს, რომ თავად მისცეს კალაპოტი უფლებადამცველების საქმიანობას,“ - ედუარდ მარიკაშვილი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სტრატეგიული სამართალწარმოების პროგრამის დირექტორი

ინტერვიუების დროს ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) წარმომადგენელმა გაიხსენა საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, სოფიო კილაძის ცილისმწამებლური, საქმიანი რეპუტაციის შემლახავი და პიროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი მიმართვა, რომელიც მიზნად ისახავდა სწორედ უფლებადაცვითი საქმიანობის დისკრედიტაციას.

სოფიო კილაძემ პარლამენტში, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ განსახილველად გამართულ შეხვედრაზე შეურაცხყოფა მიაყენა „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენლებს, რომლებმაც კანონპროექტის თაობაზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს და კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს. სწორედ აღნიშნულ კრიტიკას მოჰყვა სოფიო კილაძის მხრიდან უფლებადამცველების

---

[18] „2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები - წინასაარჩევნო მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში“, 8 ოქტომბერი, 2018, იხილეთ: http://old.isfed.ge/main/1421/geo/

[19] „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“ ქვეყნის ძირგამომთხრელი საქმიანობაა - ირაკლი ღარიბაშვილი“, 1 მაისი, 2014, იხილეთ: http://www.media.ge/ge/portal/articles/302606/

შეურაცხყოფა და მათი საქმიანობის დისკრედიტაცია[20] – მან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს „ანგაჟირებული“ უწოდა და აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, უფლებადამცველებს „დავალებული“ ჰქონდათ, რომ განსახილველ კოდექსთან დაკავშირებით „დესტრუქციული როლი“ შეესრულებინათ. ასევე დაამატა, რომ „ანგაჟირებულ ადამიანებს“ არ უსმენს და არც მათ კრიტიკას მიიღებს.

რესპონდენტები თანხმდებიან, რომ საქართველოში უფლებადამცველებს და აქტივისტებს საჯაროდ მხარს უჭერს სახალხო დამცველი. საქართველოში სახალხო დამცველი ხშირად თავად ხდება საზოგადოების მხრიდან თავდასხმის მსხვერპლი იმ განცხადებების გამო, რომლითაც ის მარგინალიზებული, მოწყვლადი ჯგუფების უფლებადამცველთა მხარდაჭერას გამოხატავს. სახალხო დამცველს საქართველოში საჯაროდ ხშირად მაღალჩინოსნებიც ესხმიან თავს. არის შემთხვევები, როცა მასზე თავდასხმაც ზუსტად იმავე მიზეზით ხორციელდება, რა მიზეზითაც არასამთავრობო ორგანიზაციებზე - ხელისუფლების წარმომადგენლებს ხშირად შეუდარებიათ სახალხო დამცველი პოლიტიკური ძალისთვის და უთქვამთ ისიც, რომ მისი განცხადებები „სამარცხვინოა“.[21]

თითქმის ყველა რესპონდენტის აზრით, ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უფლებადამცველებთან, თუმცა პრობლემურია ღია თანამშრომლობა პრინციპულ საკითხებზე - იმ საკითხებზე, რომლებზეც არასამთავრობო სექტორს კრიტიკული მოსაზრებები აქვს. არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულნი არიან სახელმწიფოს საქმიანობაში - იქნება ეს სამუშაო ჯგუფები საკანონმდებლო ცვლილებებზე თუ სხვა სახის სადისკუსიო ფორმატები. თუმცა, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვან, პრინციპულ საკითხებზე სახელმწიფო უფრო აქტიური დიალოგის ფორმატში უნდა

---

[20] „კარგი იქნება, FACEBOOK-ზე დეპუტატების შეურაცხყოფას თავს თუ დაანებებთ" - სოფო კილაძის რჩევა NGO-ს“, 4 თებერვალი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/2K2sBFG

[21] „ირაკლი კობახიძე სახალხო დამცველს აკრიტიკებს“, 26 სექტემბერი, 2019, იხილეთ: https://civil.ge/ka/archives/370737

მუშაობდეს და მაქსიმალურად უნდა ჩართოს არასამთავრობო სექტორი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანია ღიაობა და ეს ღიაობა უნდა ჩანდეს სახელმწიფოს მხრიდან უფლებადამცველების წინაშე აღებული პასუხისმგებლობით.

სამოქალაქო აქტივისტმა, ნატა ფერაძემ ამ საკითხზე საუბრისას აღნიშნა, რომ თბილისის მერია და საკრებულო განსაკუთრებით ჩაკეტილი სტრუქტურებია და ისინი დაინტერესებულ ადამიანებს, უფლებადამცველებს და აქტივისტებს ქალაქის დაგეგმარებასთან დაკავშირებულ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას არ აძლევენ.

სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი უფლებადამცველების მხარდაჭერა

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიები. დე ფაქტო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს სახელმწიფოს არ აქვს შესაძლებლობა, რომ განახორციელოს ეფექტური კონტროლი და საკუთარი იურისდიქცია, შესაბამისად, ამ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქე უფლებადამცველების დაცვა საქართველოს სახელმწიფოსთვის ორმაგი გამოწვევაა. რესპონდენტების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, საქართველოს სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, რომ ეფექტიანად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი და დიპლომატიური მექანიზმი და საქართველოს მოქალაქე უფლებადამცველები ოკუპირებულ ტერიტორიებზეც დაიცვას.

რესპონდენტებმა გაიხსენეს თამარ მეარაყიშვილის საქმე, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრეობს და მას საქართველოს სახელმწიფო ვერ იცავს. ქართველი აქტივისტი და უფლებადამცველი, თამარ მეარაყიშვილი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2017 წელს დააკავა, მას შემდეგ, რაც მან დე ფაქტო ხელისუფლება მედიაში გააკრიტიკა. მეარაყიშვილს 2017 წლის შემდეგ შეზღუდული აქვს

გადაადგილების უფლება (ვერ ტოვებს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას). კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა, რომ დე ფაქტო მთავრობისგან დევნილი საქართველოს მოქალაქე უფლებადამცველის დასაცავად საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა შესაძლო მექანიზმი გამოიყენოს.[22]

[22] "ადამიანის უფლებათა სახლების ქსელის განცხადება თამარა მეარაყიშვილის საქმესთან დაკავშირებით", 3 თებერვალი, 2020, იხილეთ: https://bit.ly/3lsEORI

სტანდარტი: იბრძოლეთ დაუსჯელობის წინააღმდეგ, იყავით ანგარიშვალდებული

რესპონდენტებთან საუბრისას გაირკვა, რომ საქართველოში უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები ხშირად არ ისჯება. ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები ორ ნაწილად იყოფა: ერთი მხრივ, სახელმწიფოს არ აქვს სწორი პოლიტიკა უფლებადამცველების და უფლებადაცვითი საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების აღსაკვეთად (ღიად უპირისპირდება უფლებადამცველებს, არ აღიარებს მათ საჯარო როლს), მეორე მხრივ კი, ეფექტიანად არ იძიებს ქვეყანაში უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია აზერბაიჯანელი აქტივისტი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქართველოდან გატაცების შემთხვევა. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალდებული იყო, დაეცვა საქართველოში მყოფი ჟურნალისტი. 2017 წლის 29 მაისს, აფგან მუხთარლი თბილისის ცენტრიდან გაუჩინარდა, გარკვეული დროის შემდეგ კი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, სადაც დააკავეს. მისი ჩვენებიდან ირკვევა, რომ თბილისიდან ის საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების ფორმებში ჩაცმულმა ადამიანებმა გაიტაცეს.[23] აზერბაიჯანში აფგან მუხთარლის ბრალი წაუყენეს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის უკანონო გადაკვეთის, კონტრაბანდისა და საზღვრის თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით.

2017 წელს მუხთარლის გაუჩინარების ფაქტზე საქართველოს სახელმწიფომ გამოძიება დაიწყო და აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ

[23] „აფგან მუხთარლის საქმე, ფაქტები და შეფასება“, ანგარიში, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი, მაისი, 2018 წ. იხილეთ: https://hrht.ge/wp-content/uploads/2018/10/GEO__Online.pdf

2020 წლის მარტში აფგან მუხთარლი აზერბაიჯანის ციხიდან გაათავისუფლეს, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის გამოძიებული, ვისი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს ქვეყნიდან აქტივისტი ჟურნალისტის გატაცების გამო.

აფგან მუხთარლის საქართველოში გაუჩინარებისა და აზერბაიჯანში დაპატიმრების საკითხზე აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფოების წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შესულია სარჩელი (საქმე 39503/17). 2017 წლის 30 აგვისტოს, ევროსასამართლომ მოსარჩელე მხარის წარმომადგენელს აცნობა, რომ განაცხადი მიღებულია და მას პრიორიტეტული სტატუსი მიენიჭა.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არასათანადო რეაგირება იმ შემთხვევებზე, როდესაც სხვადასხვა ჯგუფები უფლებადამცველების დისკრედიტაციას ცდილობენ. რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში გაძლიერდნენ ულტრანაციონალისტური, აგრესიული ჯგუფები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციას ეწევიან, სამართალდამცავი სტრუქტურები კი მათ საქმიანობაზე სათანადოდ არ რეაგირებენ. რამდენიმე რესპონდენტის აზრით კი, ეს ულტრანაციონალისტური ჯგუფები ხელისუფლების განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობენ.

რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს საჯარო მოხელეების მხრიდან ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ განხორციელებული თავდასხმების იგნორირებას - ხელისუფლების მაღალჩინოსნები არ ავრცელებენ განცხადებებს და არ მოუწოდებენ ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს, პატივი სცენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ადამიანის უფლებების დასაცავად იბრძვიან. სახელმწიფოს ასეთი პოზიცია კი უფრო მეტად ახალისებს ასეთ ჯგუფებს, რომ გამოიყენონ სიძულვილის ენა და აგრესიით უპასუხონ ნებისმიერ მათთვის მიუღებელ

მოვლენას, იქნება ეს ლგბტქ+ ადამიანების შეკრება, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიღება[24] თუ სხვა.

უფლებადამცველების და აქტივისტების დისკრედიტაცია ხშირად სოციალური მედიით ხდება. სოციალურ მედიაში ინფორმაციის გავრცელება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია და შესაბამისად, რთულია შეურაცხმყოფელი, მუქარის შემცველი თუ სხვა პრობლემური მოსაზრებების კონტროლი. თუმცა, რესპონდენტების აზრით ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობაში, მათ საჯარო განცხადებებში, მათ პოლიტიკაში ხშირად ჩანს, რომ ზოგიერთი უფლებადამცველის წინააღმდეგ მიმართული მადისკრედიტებელი კამპანიები ხელისუფლებას ხელს აძლევს. ხშირია ორგანიზებული თავდასხმები იმ აქტივისტების და უფლებადამცველების წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურად ჩანან საზოგადოებაში, უპირისპირდებიან ხელისუფლების მაღალჩინოსნებს და მათ პრობლემურ გადაწყვეტილებებს აკრიტიკებენ. სოციალურ ქსელებში უფლებადამცველების წინააღმდეგ წამოწყებულ, ორგანიზებულ კამპანიებს სახელმწიფო თითქმის არასოდეს გმობს და იძიებს.

„ რამდენიმე აქტივისტის წინააღმდეგ, რომლებიც მედიაში აქტიურად ჩანდნენ, მიმდინარეობდა ორგანიზებული შეტევა: სოციალურ ქსელებში წერდნენ, რომ ისინი იყვნენ ნარკომომხმარებლები, ლგბტქ+ თემის წარმომადგენლები და მათ ყალბ ფოტოებს ავრცელებდნენ - იყო მცდელობა, რომ ამ კამპანიის მეშვეობით „სირცხვილიას“ ლიდერებზე და მთლიანად მოძრაობაზე საზოგადოებრივი აზრი შეეცვალათ,“ - მარიამ ბაჯელიძე, მოძრაობა „სირცხვილია“.

ულტრანაციონალისტური და ანტიდასავლური ჯგუფების მიერ სოციალურ ქსელ facebook-ში მართული გვერდები 2019 წელს თავად facebook-მა წაშალა. წაშლის

---

[24] „სიძულვილის ჯგუფებმა UNICEF-ის ოფისთან აქცია გამართეს“, 3 მარტი, 2019, იხილეთ: http://www.tabula.ge/ge/story/145155-sidzulvilis-jgufebma-unicef-is-ofistan-aqcia-gamartes

მიზეზი ამ გვერდების მიერ წარმოებული დეზინფორმაციული კამპანია და მათი არაავთენტური, კოორდინირებული ქცევა იყო.[25]

დაუსჯელობის პრობლემაზე საუბრისას რამდენიმე რესპონდენტმა ასევე გაიხსენა გიგა მაქარაშვილის საქმე. 2018 წლის 10 ოქტომბერს, სამოქალაქო აქტივისტმა გიგა მაქარაშვილმა მონაწილეობა მიიღო გორის მერიის წინ გამართულ საპროტესტო აქციაში, სადაც აქტივისტები აპროტესტებდნენ გორის მერის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლითაც მან საქართველო 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაში დაადანაშაულა.

აქციის დასრულებისას, როდესაც აქტივისტები აწესრიგებდნენ ტერიტორიას, გორის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, თეიმურაზ მანველიშვილმა გიგა მაქარაშვილს თავზე ნაგვით სავსე ურნა ჩამოაცვა.[26] მიუხედავად იმისა, რომ მანველიშვილის ქცევა ვიდეოზეა აღბეჭდილი, თეიმურაზ მანველიშვილი სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს.[27] ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უფლებადაცმველებისა და აქტივისტების წინააღმდეგ სხვადასხვა ჯგუფების გაძლიერებას ხელს უწყობს მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ან ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე ხელისუფლების არასათანადო რეაგირება.

---

[25] „Removing Coordinated Inauthentic Behavior From Georgia, Vietnam and the US“, 20 ივნისი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/37ISgLH

[26] „მერიის ადმინისტრაციის უფროსი აქციის მონაწილეს თავზე ვედროს ამხობს“, ტელეკომპანია „დია“, 10 ოქტომბერი, 2018, იხილეთ: https://www.facebook.com/watch/?v=258045738227221

[27] „ნაფიცმა მსაჯულებმა თემურ მანველიშვილი გაამართლეს“, 18 დეკემბერი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/36p6pgq

სტანდარტი: დაიცავით უმცირესობათა დამცველები

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დამცველთა წინაშე არსებული ბარიერები

კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა უმცირესობების დამცველ უფლებადამცველებთან და აქტივისტებთან. მათ საუბრისას ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში გახშირდა თავდასხმები იმ უფლებადამცველებზე, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ მოწყვლად ჯგუფებთან. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დაცვა სხვადასხვა გამოწვევებთანაა დაკავშირებული - ეს ჯგუფები ქვეყანაში უმცირესობას წარმოადგენენ და მათი საჭიროებები დომინანტური ჯგუფის საჭიროებებთან ხშირად თანხვედრაში არ მოდის, რაც მათ თავდასხმის ობიექტად აქცევს.

საქართველოში უფლებადამცველების წინააღმდეგ ნეგატიურ კამპანიებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები, მათ შორის ულტრანაციონალისტური, სექსისტური და სიძულვილის ენით მოსაუბრე ჯგუფები აწარმოებენ. უფლებადამცველებს უპირისპირდებიან იმ თემების გამო, რაზეც ისინი მუშაობენ: თუ ორგანიზაციები/უფლებადამცველები მოწყვლად ჯგუფს - ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობებს იცავენ, ისინი საზოგადოების მხრიდან ქსენოფობიური თავდასხმის მსხვერპლნი ხდებიან.

მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნები თავიანთი საჯარო განცხადებებით მხარს უჭერდნენ მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვას, მათ ინტეგრაციაზე ზრუნავდნენ და ამით დაცულობის გარანტიას უქმნიდნენ უფლებადამცველებსაც. რესპონდენტების აზრით, საქართველოში რეალურად ასე არ ხდება. ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ ხელისუფლებაში არსებობენ ისეთი საჯარო მოხელეები, რომლებიც აღიარებენ ადამიანის ძირითად უფლებებს და უმცირესობების უფლებების დასაცავად განსაკუთრებულად ზრუნავენ. თუმცა, მეორე მხრივ, როგორც წესი, ეს საჯარო მოხელეები არ არიან მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე.

სამწუხაროდ, ისეთი საჯარო მოხელეები, რომლებიც ასეთ თანამდებობებს იკავებენ და/ან არჩევნების შედეგად აქვთ მოპოვებული ხელისუფლება, ნაკლებად იცავენ მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებს. რეპონდენტების აზრით, ამის მიზეზი, სავარაუდოდ, ისაა, რომ მათ არ სურთ საზოგადოების დომინანტური ჯგუფისთვის მიუღებელი განცხადებები გააკეთონ და ცდილობენ, ამ გზით შეინარჩუნონ უმრავლესობისგან მიღებული ლეგიტიმაცია. უმცირესობების უფლებებზე ზრუნვა ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის ხშირად შეიძლება არაპოპულარული ნაბიჯი იყოს.

ბოლო პერიოდის განმავლობაში, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოში უფრო აქტიურად არიან ჩართულნი სამოქალაქო აქტივიზმში. არსებობენ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები, რომლებიც ხელისუფლებას ხმამაღლა აკრიტიკებენ. ხშირად, საზოგადოების ნაწილი ასეთ ადამიანებს ქსენოფობიურ ნიადაგზე ესხმის თავს - ეთნიკური აზერბაიჯანელების უფლებებზე მომუშავე აქტივისტთან საუბრისას ირკვევა, რომ ხშირად ესმის ისეთი მოსაზრებები, როგორიცაა: რა უნდათ ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოში, „თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ“ და ა.შ.

ეს მოწოდებები ეხება საქართველოს მოქალაქეობის მქონე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აქტივისტებს და სამწუხაროა, რომ საზოგადოების ნაწილის ასეთ რეაქციას ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც იზიარებენ. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში 2019 წელს, ერთ-ერთ განცხადებაში აღნიშნავს, რომ „აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების უფლებები საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების უფლებებს უნდა გაუთანაბრდეს, როგორც განათლების, ასევე სხვა სერვისებზე”.[28]

---

[28] „კოალიცია თანასწორობისთვის მარიამ ჯაშის დისკრიმინაციულ განცხადებას ეხმიანება“, 27 თებერვალი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/2JVZtjb

მარიამ ჯაშის მიერ გაკეთებული ეს განცხადება პრობლემურია, რადგან არასწორ გზავნილს შეიცავს - ერთი მხრივ, ახარისხებს საქართველოს მოქალაქეებს (და ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ არსებული სტიგმის გაღრმავებას უწყობს ხელს) და მეორე მხრივ, ეთნიკურ უმცირესობებს იყენებს ნაცვალგებისთვის. სახალხო დამცველმა ამ საკითხზე განაცხადა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეების უფლებების დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა და ამას *"აზერბაიჯანის, ან სხვა სახელმწიფოს დასანახად, ან კონტრსარგებლის მისაღებად, თუნდაც სრულიად მართებული ინტერესების გასატარებლად არ უნდა ვაკეთებდეთ"*.[29]

საგანგაშო იყო 2020 წლის ივნისში უფლებადამცველების საგამოძიებო სტრუქტურებში დაბარება.[30] „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)" თანასწორობის პოლიტიკის დირექტორი დაიბარეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში (სუს). სუს-ის ზოგადი განცხადების თანახმად, გამოძიება დაინტერესდა უფლებადამცველების საქმიანობით, რადგან მიმდინარეობდა მოკვლევა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში რასობრივი დისკრიმინაციის თაობაზე. სუს-ის ინფორმაციით, ცალკეული პირები ცდილობდნენ ქვემო ქართლსა და კახეთში ეთნიკური შუღლის გაღვივებას.

ეს გამოძიება მარნეულის რაიონის ეპისკოპოსის ულტიმატუმის შემდეგ დაიწყო - მან მთავრობის წარმომადგენლებს ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის ასაღებად გარკვეული ვადა მისცა. ეს მოთხოვნა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში ქსენოფობიურად შეფასდა.[31] სოციალურ ქსელებში ანტილიბერალურმა ჯგუფებმა

---

[29] „მარიამ ჯაში: აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებს ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეთ, როგორიც ქართველ აზერბაიჯანელებს აქვთ", 27 თებერვალი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/32EhLw2

[30] იხილეთ: https://bit.ly/2Ukvlup

[31] „სუს-ი რასობრივი დისკრიმინაციისა და ეთნიკური შუღლის გაღვივების საქმე - რას და როგორ იძიებს სუს-ი", 16 ივნისი, 2020, იხილეთ: https://www.tabula.ge/ge/story/173230-rasobrivi-diskriminaciisa-da-etnikuri-shughlis-gaghvivebis-saqme-ras-da-rogor-idziebs

ეთნიკური შუღლის გამაღვივებელი კამპანია წამოიწყეს და მათი განცხადებები ეთნიკური დაპირისპირების და სტიგმატიზაციის საფუძველი გახდა.

ინტერვიუს პროცესში „ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის “ (EMC) - წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უფლებადამცველებზე საზოგადოების მხრიდან განხორციელებული ორგანიზებული შეტევა შემაშფოთებელია და ამასთანავე, პრობლემაა ეთნიკური შუღლის გაღვივების გამოძიებისას უფლებადამცველების საგამოძიებო სტრუქტურებში დაბარება და მათი გამოკითხვა. არსებობს საფრთხე, რომ უფლებადამცველების საქმიანობაში ამგვარი ჩარევა მათი გამოხატვის თავისუფლების კონტროლის მექანიზმად იქცეს, რასაც, შესაძლოა, ე.წ. მსუსხავი ეფექტი მოჰყვეს.

„ცხადია, რომ ამ მექანიზმის გამოყენება გამოძიების პროცესზე საზოგადოებრივი კონტროლის შემცირებას ისახავს მიზნად და გამოკითხულ პირებს საკუთარი პოზიციების დაცვისა და უკმაყოფილების გამოხატვის შესაძლებლობას ართმევს,“ - ნათქვამია ამ ფაქტთან დაკავშირებით EMC-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.[32]

რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს ასევე ვიტალი საფაროვის საქმეზე გამოძიების და სასამართლოს გადაწყვეტილების პრობლემურ ასპექტებსაც. 2018 წლის 30 სექტემბერს, თბილისში 25 წლის უფლებადამცველი, ვიტალი საფაროვი მოკლეს. როგორც მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, კონფლიქტი თბილისის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ბარში დაიწყო და შემდეგ ქუჩაში გაგრძელდა – ვიტალი საფაროვის წინააღმდეგ ნეონაცისტური/ულტრანაციონალისტური ჯგუფის წარმომადგენლების მხრიდან ძალადობის მიზეზი მის უფლებადაცვით საქმიანობასთან, ეთნიკურ კუთვნილებასა და ლიბერალურ მიდგომებთან ერთად გახდა ის ფაქტიც, რომ ის თავის თანმხლებ უცხოელ სტუმრებს ქართულად არ ესაუბრებოდა.

---

[32] “EMC სუს-ში მიმდინარე გამოძიებასა და თამთა მიქელაძის გამოკითხვის პროცესს ეხმიანება”, 16 ივნისი, 2020, იხილეთ: https://bit.ly/2Ukvlup

ვიტალი საფაროვის მკვლელობა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან საქმე ეხება უფლებადამცველის სიცოცხლის მოსპობას სიძულვილის მოტივით, რასობრივი შეუწყნარებლობის საფუძველზე. მიუხედავად ასეთი ფაქტობრივი გარემოებებისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 22 ივნისს არ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ჩაიდინეს მკვლელობა ეთნიკური შეუწყნარებლობისა და/ან ქსენოფობიურ ნიადაგზე, რაც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (53[1] მუხლის 1-ლი პუნქტი) და ისინი დამნაშავედ მხოლოდ ჯგუფური მკვლელობის ბრალდებით ცნო. ასეთი გადაწყვეტილებით არ შესრულდა საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულია, პროაქტიულად ებრძოლოს და აღმოფხვრას დისკრიმინაცია *inter alia* ეთნიკური ნიშნით.[33]

საქართველოში ულტრანაციონალისტური ჯგუფები განსაკუთრებით აგრესიულები არიან ლიბერალური შეხედულებების მქონე და უმცირესობათა უფლებების დამცველი ადამიანების მიმართ - ამრიგად, ისინი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან ადამიანის უფლებათა დამცველებს და აქტივისტებს. საქართველოს სახელმწიფო კი სათანადო ყურადღებას არ აქცევს მსგავსი ტიპის დანაშაულებს და არ ხდება ადეკვატური რეაგირება: დამნაშავისთვის სასჯელის შეფარდებისას არ ხდება იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გამოყოფა, რაც დანაშაულის ჩადენის მთავარი მიზეზი გახდა. შესაბამისად, არ ხდება დანაშაულის პრევენციისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა, რადგან სახელმწიფო არ ახდენს ამგვარი დანაშაულების ცალკე კლასიფიკაციას და შესწავლას.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებადამცველების უფლებრივი მდგომარეობის მოკვლევამ გამოავლინა პოზიტიური ნაბიჯებიც - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53[1]-ე მუხლი - დისკრიმინაციული ნიშნით

---

[33] „ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა“, EMC-ის ანგარიში, 2019 წელი, იხილეთ: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/GEO_WEB_1552474567.pdf, გვ 13-23.

ჩადენილი დანაშაულები სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა. თუმცა, პრაქტიკაში, საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურის წარმომადგენლებისთვის კვლავ პრობლემაა დისკრიმინაციული ნიშნის არსებობისას დანაშაულის რეალური მოტივის განსაზღვრა.

რესპონდენტების აზრით, რადგან სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, რომ გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც აღმოფხვრის დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის იდენტიფიცირებას ახდენდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისკრიმინაციული ნიშნით უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირება. თუ დანაშაული დისკრიმინაციული ნიშნით არის ჩადენილი უფლებადამცველის წინააღმდეგ, ეს ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, საფრთხე ექმნება მოწყვლად ჯგუფს, ხოლო მეორე მხრივ, ხდება უფლებადამცველების, როგორც ამ კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფის დამცველების შევიწროება, რაც დამატებით კიდევ უფრო ასუსტებს ამ ჯგუფს.

ლგბტქ+ ადამიანთა უფლებების დამცველთა უფლებრივი მდგომარეობა

ბოლო წლებში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გადადგმული წარმატებული ნაბიჯების მიუხედავად[34], საქართველოში ლგბტქ+ თემისა და მათი უფლებადამცველებისთვის მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. კვლევის ფარგლებში ყველა რესპონდენტი ცალსახად აღნიშნავდა, რომ საქართველოში ამჟამად ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფს ლგბტქ+ ადამიანები წარმოადგენენ. საფრთხის წინაშე არიან ის უფლებადამცველებიც, რომლებიც ამ ადამიანების უფლებებს იცავენ - უფლებადამცველები და აქტივისტები ხდებიან მტრული დამოკიდებულების, სტიგმის და ხშირად ფიზიკური აგრესიის მსხვერპლნიც.

---

[34] 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

კვლევის ფარგლებში ვესაუბრეთ იმ უფლებადამცველებს, რომლებიც ამ ჯგუფის პრობლემებზე მუშაობენ: საქართველოში იმდენად არაპოპულარულია ლგბტქ+ ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა და მათ უფლებადამცველებს ისეთი ბარიერების გადალახვა უწევთ, რომ ხშირად ეს მათ დემორალიზაციას იწვევს. ქვეყნიდან მასობრივად მიდიან ის უფლებადამცველები და აქტივისტები, ვისაც არ შეუძლია და არ სურს ამ ყოველდღიურ სტრესთან გამკლავება. რესპონდენტების აზრით, მუდმივი წნეხი, შიში, თვალთვალი, აგრესია და ის სტრესი, რისი გამოვლაც საქართველოში ლგბტქ+ უფლებადამცველებს უწევთ, ძალიან მძიმეა.

ლგბტქ+ ადამიანებისთვის პრობლემურია ისეთი ფუნდამენტური ძირითადი უფლებით სარგებლობა, როგორიცაა შეკრების თავისუფლება. ყველა რესპონდენტმა აღნიშნა ინტერვიუს მსვლელობისას, რომ საქართველოში ამ ჯგუფის დამცველები რეალური, ფიზიკური საფრთხის წინაშე არიან ყოველდღიურად. 2012-2013 წლებში, IDAHO-ს დღეს (ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე), ლგბტქ+ თემისა და ულტრანაციონალისტურად განწყობილი აგრესიული ჯგუფის დაპირისპირების შემდეგ საქართველოში რეალური ცვლილებები არ მომხდარა.[35]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება დისკრიმინაციის გარეშე. [36] 2012 წელს, IDAHO-ს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩაშლის საკითხზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველომ დაარღვია დემონსტრანტების უფლებები.[37]

---

[35] საქართველოში სხვადასხვა წლების 17 მაისს მომხდარი დაპირისპირებების ისტორია: „17 მაისის 8 წლიანი ქრონიკა“, 17 მაისი, 2019, იხ: https://bit.ly/3nfRVX5

[36] „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370 , მუხლი 11

[37] „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, №. 73235/12, 12. 05 2015

სასამართლომ აღნიშნა, რომ ოფიციალურ პირებს წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია დემონსტრაციისა და მასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შესახებ, თუმცა მათ ვერ შეძლეს *„ჰომოფობიური და ძალადობრივი კონტრდემონსტრანტების შეკავება“* და შესაბამისი ზომების მიღება, რათა *,,უზრუნველეყოთ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მარშის მშვიდობიანად ჩატარება“* და *„ამ წინდაუხედაობის გათვალისწინებით, სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ შეასრულეს კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული თავიანთი პოზიტიური ვალდებულება, მე-14 მუხლთან [დისკრიმინაციის აკრძალვა] ერთობლიობაში.”*

2013 წელს, IDAHO-ს დღეს აქტივისტებზე მომხდარი მასშტაბური თავდასხმები[38] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ჯერ ისევ განხილვის პროცესშია.

2014-2018 წლებში, ძალადობრივი ჯგუფების მიერ გამოვლენილი ფიზიკური დაპირისპირებისა და მუქარის გამო, IDAHO-ს დღე საქართველოში ვერ აღინიშნებოდა, ან მოიცავდა მხოლოდ მცირე დემონსტრაციებს, რომლებიც პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობითა და აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა, შეკრებილ ადამიანებს კი არ ჰქონდათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება. თუმცა, იმავე დღეს, რელიგიური ჯგუფები, მათ შორის ისინიც, ვინც ძალადობრივი და ჰომოფობიურად განწყობილი რიტორიკით გამოირჩეოდნენ, თავისუფლად მართავდნენ დემონსტრაციას თბილისის ქუჩებში. [39]

სახელმწიფო დღესაც ვერ ახერხებს, რომ ლგბტქ+ პირებისთვის და მათი უფლებების დამცველებისთვის იყოს კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის გარანტი. ამის ნათელი მაგალითია ლგბტქ+ პირების და მათი უფლებადამცველების ბრძოლის

---

[38] „უმრავლესობის აზრით, 2013 წლის 17 მაისის დარბევა სიძულვილის დანაშაული იყო – კვლევა“ იხილეთ: http://www.equality.ge/2908

[39] „ანტიჰომოფობიური აქციის საპირწონედ შექმნილი დღე - საპატრიარქოს მსვლელობა 17 მაისს“, 17 მაისი, 2018, იხილეთ: https://bit.ly/3o1JWgw

ისტორია ბოლო წლების განმავლობაში და ის საგანგაშო მოვლენები, რომლებზეც გაამახვილეს ყურადღება არა მარტო ინტერვიუში მონაწილე „თბილისი პრაიდის“ წარმომადგენლებმა, არამედ ყველა სხვა რესპონდენტმაც:

2019 წლის დასაწყისში „თბილისი პრაიდის“ ორგანიზებით საქართველოში პირველი პრაიდის კვირეული დაანონსდა. კვირეული მოიცავდა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას, მათ შორის, საერთაშორისო კონფერენციას და ,,ღირსების მარშს”. ორგანიზატორთა განცხადებით, მოლაპარაკების ხანგრძლივი პროცესის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მათ აცნობა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ვერ უზრუნველყოფდნენ ლგბტქ+ თემის შეკრების თავისუფლების დაცვას რადიკალური ჰომოფობიური ჯგუფებისაგან მომდინარე მაღალი რისკისა და საფრთხის გამო. ლგბტქ+ თემმა სამართალდამცავი ორგანოებისგან მიიღო შეთავაზება, რომ ღონისძიება დახურულ სივრცეში გაემართათ. [40]

„თბილისი პრაიდამდე“ ერთი კვირით ადრე, მზარდი საფრთხეები გამოვლინდა და ლგბტქ+ თემის წინააღმდეგ მუქარისა და თავდასხმის შემთხვევები დაფიქსირდა. 14 ივნისს, ლგბტქ+ უფლებადამცველები საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან შეიკრიბნენ და დაგეგმილ ღირსების მარშზე პოლიციისგან უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდნენ. შეკრებილ აქტივისტებს კონტრდემონსტრანტების ძალადობრივი ჯგუფი დაუპირისპირდა. მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს აქტივისტებს და დაემუქრნენ კიდეც. საბოლოოდ, პოლიციამ აქციიდან ისევ აქტივისტები გაიყვანა. 15 ივნისს, ჰომოფობიურად განწყობილმა ულტრანაციონალისტურმა ჯგუფებმა კომბლებით შეიარაღებული „სახალხო

[40] „გახარია „პრაიდზე“: შსს-ს ამოცანაა ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის“, 2 მაისი, 2019, იხილეთ: https://netgazeti.ge/news/368925/

რაზმები“ შექმნეს. ისინი დაემუქრნენ „პრაიდის“ ორგანიზატორებს და ლგბტქ+ ადამიანების „დასასჯელად“ პატრულირება დაიწყეს. [41]

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „სახალხო რაზმების“ ფორმირების თაობაზე გამოძიება დაიწყო[42], თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეები აცხადებენ, მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ ლგბტქ+ თემს მოუწოდა, „თბილისი პრაიდი“ და კონკრეტულად „ღირსების მარში“ არ ჩაეტარებინა. რესპონდენტების აზრით, საქართველოს მთავრობის ამგვარი დამოკიდებულება შეუსაბამოა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებებთან: შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მოუწოდეს ლგბტქ+ უფლებადამცველებს, რომ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან არიდებაზე თავად ეზრუნათ და უარი ეთქვათ საკუთარი კონსტიტუციური უფლებით სარგებლობაზე. ნიშანდობლივია, რომ ამით სახელმწიფომ ფაქტობრივად პასუხისმგებლობა დააკისრა ლგბტქ+ ადამიანებს: შსს-ს პოზიციიდან გამომდინარე, თუ საფრთხის თავიდან აცილება ვერ მოხერხდებოდა, ლგბტქ+ უფლებადამცველები იქნებოდნენ ამაზე პასუხისმგებელნი, როგორც „ღირსების მარშის“ ორგანიზატორები.

სახელმწიფო უწყებები ვალდებულები არიან, თითოეული საჭიროებისას დაამტკიცონ, რომ მხარს უჭერენ ლგბტქ+ თემის მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობას და მზად არიან დაიცვან მათი ეს უფლებები. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ 2019 წლის ივნისში განვითარებული მოვლენები არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ლგბტქ+ თემმა ვერ შეძლო საკუთარი უფლებებით სარგებლობა. სახელმწიფო თვალს ხუჭავს იმ რადიკალური, ჰომოფობიური, ულტრანაციონალისტური და ნეონაცისტური იდეოლოგიების მქონე

---

[41] „ლევან ვასაძის განცხადებით, თბილისში პატრულირებას სახალხო რაზმები დაიწყებენ“, 16 ივნისი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/3lrn1u7

[42] „შსს-მ სახალხო რაზმების შექმნის შესახებ ლევან ვასაძის განცხადებაზე გამოძიება დაიწყო“, 17 ივნისი 2019, იხილეთ: https://bit.ly/2JXCqVb

0.54ჯგუფების საქმიანობაზე, რომლებიც ბოლო პერიოდში საქართველოში უფრო და უფრო აქტიურდებიან.

შსს-ს სხვადასხვა შემთხვევებზე დაწყებული აქვს გამოძიება, თუმცა, ჯერ-ჯერობით, ეს საქმეები ისევ გამოუძიებელია და დამნაშავეები იშვიათად აგებენ პასუხს საკუთარ აგრესიულ ქმდებებზე. ამის საპირწონედ კი საქართველოში ლგბტქ+ თემს კვლავ არ აქვს შესაძლებლობა, რომ საკუთარი კონსტიტუციური უფლებით ისარგებლოს; ლგბტქ+ თემის წარმომადგენლები მუქარისა და ძალადობის ობიექტები გახდნენ, რაზეც ხელისუფლება არ რეაგირებს - ადამიანები, რომლებიც აკეთებდნენ აგრესიულ განცხადებებს და სხვებსაც მოუწოდებდნენ, დაეწყოთ სადამსჯელო პატრულირება ქუჩაში, ჩანან მედიაში, მაგრამ ხელისუფლების მაღალჩინოსნები საჯაროდ, მედიასაშუალებების გამოყენებით არ გმობენ მათ განცხადებებს, არ პასუხობენ მათ აგრესიულ მოწოდებებს და არ მოუწოდებენ, დაემორჩილონ კანონს და მისცენ აქტივისტებს კონსტიტუციური უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

2019 წლის ნოემბერში აგრესიული ჰომოფობიური ჯგუფები კვლავ შეიკრიბნენ და ძალადობრივად სცადეს ჩაეშალათ ჰომოსექსუალურ სიყვარულზე გადაღებული ქართულ-შვედური ფილმის - „და ჩვენ ვიცეკვეთ" პრემიერა. განსაკუთრებით აგრესიული და ხალხმრავალი ჯგუფი შეკრებილი იყო კინოთეატრ „ამირანთან", სადაც ლგბტქ+ თემის წევრებს თან ახლდნენ ადამიანის უფლებადამცველები - ანა სუბელიანი და თამაზ სოზაშვილი, რომლებიც ფილმის პრემიერაზე დასწრებას აპირებდნენ. აგრესიულად განწყობილი რამდენიმე პირი მიზანმიმართულად დაესხა თავს ანა სუბელიანს და თამაზ სოზაშვილს, რადგან იცნეს ისინი, როგორც ლგბტქ+ ადამიანების უფლებადამცველები.[43]

[43] „ნოემბერი 13, 2019 განცხადება 8 ნოემბერს უფლებადამცველების – ანა სუბელიანის და თამაზ სოზაშვილის მიმართ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით", 13 ნოემბერი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/377v4qc

ანა სუბელიანის საქმეზე დაპატიმრებულ პირს სასამართლომ დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულისთვის პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება, შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის მოტივს, რაც მისასალმებელია.[44] თამაზ სოზაშვილის საქმეზე კი სასამართლოს გადაწყვეტილება აქამდე არ მიუღია.

კვლევის პროცესში რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ლგბტქ+ ადამიანებს მუდმივი სტრესის ქვეშ უწევთ ცხოვრება. ულტრანაციონალისტური ჯგუფები ხშირად აწყობენ აქციებს „თბილისი პრაიდის“ ოფისთან, იმის გამო, რომ ამ ოფისის აივანზე ლგბტ მოძრაობის სიმბოლო - ცისარტყელას დროშაა გადმოკიდებული. ოფისს კვერცხებს უშენენ და გუდრონს ესვრიან.[45] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაიცვას უფლებადამცველები ასეთი თავდასხმებისგან, რათა მათ შეძლონ თავიანთი უფლებადაცვითი საქმიანობის განხორციელება. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ *„ამ განგრძობით ძალადობას უარყოფითი გავლენა აქვს როგორც „თბილისი პრაიდის“ თანამშრომლებზე, აქტივისტებსა და უფლებადამცველებზე, ისე, ზოგადად, ლგბტქ+ თემის წევრებზე, ქვიარ ადამიანებსა და მათ უფლებრივ მდგომარეობაზე*“[46]

20 ნოემბერს, ტრანსგენდერი ადამიანების ხსოვნის დღეს, „თბილისი პრაიდის“ თანამშრომლებს სოციალურ ქსელში გაუგზავნეს ვიდეო, სადაც რადიკალური ჯგუფები წვავენ ორგანიზაციის მიერ თბილისის მიწისქვეშა გადასასვლელში გაკრულ პოსტერს წარწერით - „ჩვენ გვახსოვს“.[47] ასეთი მრავალი საჯარო და კიდევ უფრო მეტი არასაჯარო თავდასხმა არის ლგბტქ+ უფლებადამცველების ყოველდღიურობა.

---

[44] იგივე.

[45] „Tbilisi Pride-ის ოფისს გუდრონი და კვერცხები დაუშინეს“, 22 ივლისი. 2020, იხილეთ: https://bit.ly/3fkavKP

[46] „სახალხო დამცველი თბილისი პრაიდის წარმომადგენლებს შეხვდა“, 2 სექტემბერი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/35oGqGM

[47] „გამოგვიგზავნეს ვიდეო, როგორ წვავენ ტრანსგენდერი ადამიანების ხსოვნის პოსტერს - Tbilisi Pride“ 24 ნოემბერი, 2020, იხილეთ: https://bit.ly/2JbiwGd

მოკვლევის შედეგად ნათლად ჩანს, რამხელა ძალისხმევაა საჭირო სახელმწიფოსგან და რამდენი ნაბიჯია გადასადგმელი იმისთვის, რომ ლგბტქ+ თემის უფლებადამცველებმა ქვეყანაში თავი უსაფრთხოდ იგრძნონ.

სტანდარტი: დაიცავით უფლებადამცველი ქალები

2013 წლის 18 დეკემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია უფლებადამცველი ქალების შესახებ.[48] აღნიშნულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ თავიანთი საქმიანობის გამო ქალი უფლებადამცველები ხშირად არიან მომატებული საფრთხის წინაშე. ქალი უფლებადამცველები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ, რადგან ისინი განსხვავებულ ზეწოლას განიცდიან - მათ ემუქრებათ გენდერული საფრთხე და მათზე ძალადობა უფრო ხშირია, ვიდრე მათი მამრობითი სქესის კოლეგებზე. ქალებზე განხორციელებულ ზეწოლას და ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, ფიზიკურის გარდა, შეიძლება თან ახლდეს უარყოფითი სოციალური შედეგებიც: მოხდეს ქალ უფლებადამცველთა დამატებითი სტიგმატიზება და სამოქალაქო საზოგადოებიდან მათი გარიყვა.

საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობის აზროვნებაში ჯერ კიდევ ღრმად აქვს გადგმული ფესვები გენდერულ სტერეოტიპებს, რაც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ყოველდღიურად უქმნის ბარიერს საქართველოში თითქმის ყველა ქალს. გასაკვირი არაა, რომ ყველა უფლებადამცველი, აქტივისტი თუ ზოგადად პოლიტიკურად აქტიური ქალიც ამ დაბრკოლებების გადალახვას ცდილობს.

ქალი უფლებადამცველების და აქტივისტების უფლებრივ მდგომარეობაზე საუბრისას ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია „საფარის“ დირექტორმა აღნიშნა, რომ ქალი უფლებდამცველები ორმაგ ზეწოლას განიცდიან: გარდა იმისა, რომ საზოგადოების ნაწილის აზრით, უფლებადამცველები პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანები არიან, პარტიულ ინტერესებს ემსახურებიან და ძირს უთხრიან სახელმწიფო ინტერესებს, ქალი უფლებდამცველების შემთხვევაში ამ წარმოდგენებს დამატებით კიდევ ქალის ხატთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპებიც ემატება.

---

[48] გაეროს რეზოლუცია ქალ უფლებადამცველთა შესახებ, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლიის მიერ 2013 წლის 18 დეკემბერს, რეზოლუციით A/RES/68/181

„საქართველოში ქალები უფლებადაცვითი საქმიანობისას და ზოგადად, პოლიტიკური აქტიურობისას საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებული გენდერული როლებიდან გადიან, რის გამოც ისინი სექსისტური დამოკიდებულების მსხვერპლნი ხდებიან," - ბაია პატარაია, არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის" დირექტორი, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის" გამგეობის თავმჯდომარე.

ქალ უფლებადამცველებს და აქტივისტებს ხშირად არა მათი საქმიანობის, არამედ მათი გარეგნობის გამო აკრიტიკებენ. უფლებადამცველი და აქტივისტი ქალების წინააღმდეგ ხშირად გამოიყენება მათი პირადი ცხოვრება, გარეგნობა, სექსუალობა, ჩაცმულობა და ა.შ. ვერბალური თავდასხმის კუთხითაც ქალები უფრო ხშირად არიან თავდასხმის მსხვერპლნი, რადგან ქალი უფლებადამცველების წინააღმდეგ აქტიურად იყენებენ ბრძოლის ისეთ მეთოდებს, რომლებსაც გენდერული განზომილება აქვს: გაუპატიურების მუქარა, ცილისწამება, შევიწროება, რეპუტაციის შელახვა და ა.შ.

ქალ უფლებადამცველებთან დაპირისპირებული ადამიანები საუბარში ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ ასეთ ქალებს „პატრონი არ ჰყავთ", „სირცხვილია, რომ ოჯახში ასეთი აქტიურობის უფლებას აძლევენ" და ა.შ. მსგავსი ტიპის თავდასხმების მოგერიება უფლებადაცვით საქმიანობაში ჩართული ქალებისთვის კიდევ უფრო რთულია ხშირად იმიტომ, რომ ქალებს უწევთ სტერეოტიპებთან ბრძოლა არამხოლოდ საჯაროდ, არამედ საკუთარ ოჯახებშიც: საზოგადოებრივად აქტიური ქალებისთვის ხშირად წინაღობა ოჯახი ხდება. ოჯახისგან და ნათესავებისგანაც ესმით ქალ აქტივისტებს და უფლებადამცველებს სტერეოტიპული, „ ქალზე ზრუნვის " მოტივით შენიღბული მოსაზრებები. ქალებს ახლობლები „მეგობრულად" ურჩევენ ხოლმე, რომ საზოგადოებრივად აქტიურ ცხოვრებაში ჩართვა ქალისთვის და დედისთვის ზედმეტად რთული პროცესია და არ ღირს მისთვის ამ გამოწვევებთან დაპირისპირება, მითუმეტეს მაშინ, როდესაც „ოჯახის მოვლაა საჭირო".

ქალი უფლებადამცველების წინაშე არსებული განსაკუთრებული გამოწვევების გათვალისწინებით, სახელმწიფო სტრუქტურები ვალდებულები არიან ქალ უფლებადამცველებთან კონსულტაციების შედეგად შექმნან სახელმწიფოში ისეთი

გენდერულად სენსიტიური, ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალი უფლებადამცველების მუშაობას სამოქალაქო სექტორში. ქალთა გენდერული ჩაგვრის წინააღმდეგ სახელმწიფო განსაკუთრებით მკაცრ ნაბიჯებს უნდა დგამდეს - ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავად არ უნდა ისაუბრონ ისე, რომ გააძლიერონ ქალების, როგორც „ სუსტი სქესის წარმომადგენლების “ სტიგმა. ასევე, ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა საჯაროდ უნდა დაუჭირონ მხარი ქალ უფლებადამცველებს და აღიარონ მათი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ინკლუზიური და პლურალისტური საზოგადოების შექმნაში.

სტანდარტი: ხელი შეუწყეთ მშვიდობიან საპროტესტო აქციებს

საქართველოში შეკრების და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობას თან ახლავს დაბრკოლებები, რომლებსაც უფლებადამცველები და აქტივისტები ხშირად აწყდებიან. რესპონდენტების აზრით, შეკრების თავისუფლების არაპროპორციული შეზღუდვა ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს სურვილია აქცია/მანიფესტაცია დაშალოს: ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც საპროტესტო აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი არსებობს, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალა, თითქმის ყოველთვის არაპროპორციულია.

ინტერვიუების პროცესში რესპონდენტებმა გაიხსენეს ბოლო წლებში ჩატარებული რამდენიმე აქცია და მანიფესტაცია, სადაც სახელმწიფოს გარკვეული გადაცდომები ჰქონდა:

2019 წლის ივნისში საქართველოში უნდა ჩატარებულიყო მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა. ასამბლეის თავმჯდომარე იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგი, რუსეთის დუმის დეპუტატი სერგეი გავრილოვი. ასამბლეის მსვლელობა საქართველოს პარლამენტის დარბაზში მიმდინარეობდა და სერგეი გავრილოვმა, როგორც სხდომის თავმჯდომარემ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა. ამის გასაპროტესტებლად 20 ივნისს თბილისში, საქართველოს პარლამენტის წინ ათი ათასზე მეტი მომიტინგე შეიკრიბა.

აქციის ზოგიერთი მონაწილე ცდილობდა პარლამენტში შეჭრას, რის საპასუხოდაც სამართალდამცავებმა როგორც მომიტინგეების, ისე გამვლელების წინააღმდეგ რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენეს. აქციის დაშლის შედეგად, 240 ადამიანი გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებებში, რამდენიმე ადამიანმა კი დაკარგა მხედველობა ცალ თვალში. ამასთან, დაშავდა 30-ზე მეტი ჟურნალისტი და მედიის წარმომადგენელი. ადამიანებისთვის მიყენებული ყველაზე

მძიმე დაზიანებები პოლიციის თანამშრომლების მიერ გამოყენებული რეზინის ტყვიით იყო გამოწვეული.[49]

რესპონდენტების უმრავლესობამ საუბრისას აღნიშნა, რომ 20 ივნისის ღამეს პოლიციამ მომიტინგეების წინააღმდეგ პროპორციული ძალა არ გამოიყენა და აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლას წინ არ უსწრებდა წინასწარი გაფრთხილება, რაც სავალდებულოა „ პოლიციის შესახებ " საქართველოს კანონით. სახელმწიფომ სპეციალური საშუალებების გამოყენებით საფრთხე შეუქმნა აქციაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს და დაარღვია ის ვალდებულება, რომელიც აქვს: სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას შეკრების თავისუფლება და ამ უფლებით სარგებლობის შეზღუდვა შეუძლია მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით და პროპორციული ძალის გამოყენებით.

რესპონდენტების აზრით, სახელმწიფოს მხრიდან შეკრების თავისუფლება შეიზღუდა და გამოყენებული ძალის გადამეტება მოხდა 2019 წლის ნოემბერშიც. ამ პერიოდში სამოქალაქო საზოგადოება პარლამენტთან აქციებს მართავდა, რადგან მმართველმა პარტიამ არ შეასრულა ხალხისთვის საჯაროდ მიცემული დაპირება[50] და არ შეცვალა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების სისტემა სრულად პროპორციული სისტემით.

საპროტესტო აქციაზე რამდენიმე მომიტინგემ სცადა პარლამენტის პიკეტირება, რის საპასუხოდაც სამართალდამცავებმა წყალსატყორცნი საშუალებები გამოიყენეს. რესპონდენტების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, რომ პარლამენტის პიკეტირების გამო სპეციალური საშუალებები გამოეყენებინა, ნოემბერში, ღამით, ცივი წყლის ჭავლის გამოყენება არ წარმოადგენდა ამ ძალის პროპორციულ გამოყენებას. ამასთანავე, აქციაზე დააკავეს

---

[49] „განცხადება ადამიანის უფლებათა საბჭოში 20 ივნისის მოვლენების შესახებ", 31 ივლისი, იხილეთ: https://bit.ly/2JXQTk1

[50] „2020-ში ჩატარდება პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით – ივანიშვილი", 24 ივნისი, 2020, იხილეთ: https://netgazeti.ge/news/374865/

მომიტინგეები და შემდგომ ზოგ მათგანს სასამართლომ ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს სახალხო დამცველის განცხადება, სადაც ხაზგასმულია, რომ მანიფესტაციების დროს დაკავებული აქტივისტებისთვის სასამართლო პროცესებზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები - *„სასამართლო განხილვებმა კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას საბჭოთა პერიოდში მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ხარვეზები. კოდექსის შეცვლის აუცილებლობაზე სახალხო დამცველი წლებია საუბრობს. ქვეყანაში დღეს მიმდინარე პროცესები და ეს სასამართლო განხილვებიც ადასტურებს, რომ კოდექსი მინიმალურ სტანდარტებსაც კი ვერ აკმაყოფილებს და რაც შეიძლება მალე უნდა მიიღოს პარლამენტმა ახალი ნორმატიული აქტი.“*[51]

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პრობლემურობაზე ისაუბრა „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წარმომადგენელმაც. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო ხშირად იყენებს ამ კოდექსს მანიფესტანტების წინააღმდეგ, რადგან ის არ ავალდებულებს სახელმწიფოს სანქციის სახით საპატიმრო სასჯელის შეფარდებისას მტკიცების მაღალი სტანდარტის დაცვას, ისე, მაგალითად, როგორც ამას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითხოვს.

2019 წლის ნოემბრის აქციების დროს დაკავებული აქტივისტები სასამართლოზე სრულფასოვნად ვერ სარგებლობდნენ სამართლიანი სასამართლოს უფლებით - მათ ადვოკატებს არ ეძლეოდათ დრო მოსამზადებლად, სასამართლო კი მათ წინააღმდეგ ერთადერთ მტკიცებულებად პოლიციელთა ჩვენებას იყენებდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პრობლემურობაზე სახალხო დამცველის მსგავსად არასამთავრობო ორგანიზაციებსაც

---

[51] „სახალხო დამცველი ეხმიანება 2019 წლის 18 ნოემბერს პარლამენტთან აქციის დროს დაკავებული პირების სასამართლო პროცესებს“, 22 ნოემბერი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/3kmPjof

აქვთ განცხადებები გაკეთებული.[52] ეს კანონი გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოშიც, თუმცა, საბჭოთა პერიოდში მიღებული ეს ნორმატიული აქტი ჯერ კიდევ ძალაშია.

[52] „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის და მისი წევრი ორგანიზაციების განცხადება ბოლო დროინდელ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით“, 22 ნოემბერი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/3eT0QuH

სტანდარტი: გაითვალისწინეთ კრიტიკული მოსაზრებები

„მოაზროვნე მმართველს შეუძლია კრიტიკა სათავისოდ გამოიყენოს," - ანა აბაშიძე, „PHR - პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის".

რესპონდენტებთან საუბრისას იკვეთება ერთი საერთო პოზიცია - ასეთი „მოაზროვნე" მმართველები საქართველოს ხელისუფლებაში არიან: მათთან თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორისთვის ადვილია, ისინი ცდილობენ კრიტიკა სათავისოდ გამოიყენონ, განვითარდნენ და პრობლემები გამოასწორონ. თუმცა, რესპონდენტების აზრით, სამწუხაროდ, სახელისუფლებო ვერტიკალის სათავეში ასეთი საჯარო მოხელე ძალიან ცოტაა. როგორც წესი, საჯარო მოხელეების დიდი ნაწილი კრიტიკას მტრულად პასუხობს, მაშინ, როცა მათ უშუალოდ ევალებათ უფლებადამცველებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა იმისთვის, რომ მათ საჯარო ხელისუფლება გააკონტროლონ და ხელი შეუწყონ ქვეყანაში დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებას.

„უფლებადამცველებმა თავი უნდა იგრძნონ უსაფრთხოდ, დაცულად და ძლიერად, რათა გამოხატონ საკუთარი შეხედულებები ზეწოლის, თვითცენზურის და რეპრესიების შიშის გარეშე. ეს ნიშნავს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება განვითარდება."[53]

კრიტიკული მოსაზრების მიუღებლობის გამო უფლებადამცველების და აქტივისტების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მაგალითს წარმოადგენს საჯარო სტრუქტურების ფეისბუკგვერდებზე აქტივისტების დაბლოკვა. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს გაიხსენა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო მოხელეებმა საჯარო

[53] იხ. ანგარიში „უფლებადამცველთა უფლებები", 2019: https://humanrightshouse.org/wp-content/uploads/2018/12/Rights-of-Defenders_GEO.pdf

ფეისბუკგვერდებზე კრიტიკული მოსაზრების გამოთქმის გამო აქტივისტები დაბლოკეს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განხილული აქვს მსგავსი ქმედების შესახებ სასამართლოს განსჯადობის თაობაზე საქმე და სასამართლოს განჩინებაში ნათქვამია, რომ *„ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სოციალური ქსელების მართვა წარმოადგენს საჯარო საქმიანობას "* და რომ *"განსახილველ შემთხვევაში პოტენციურად სახეზეა იუსტიციის სამინისტროს მხრიდან მოსარჩელის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.“*[54]

შესაბამისად, საქართველოში უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი განმარტებით, აქტივისტებს და უფლებადამცველებს სახელმწიფო სტრუქტურების ან თანამდებობის პირების საჯარო, სოციალური ქსელის გვერდებზე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ აზრი გამოხატონ დაბრკოლების გარეშე, ისე, რომ არ დაბლოკონ ან/და არ წაშალონ მათი მოსაზრებები ამ გვერდების მმართველებმა. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სოციალური ქსელის მართვა გულისხმობს საჯარო საქმიანობის განხორციელებას, რაც შესაბამისად, წარმოშობს სახელმწიფო სტრუქტურების ვალდებულებას, მიიღონ ამ პლატფორმებზე გამოთქმულიგანსხვავებული მოსაზრებები.

საჯარო საქმიანობის განხორციელებისას სახელმწიფო ვალდებულია მოუსმინოს ნებისმიერი განსხვავებული და კრიტიკული პოზიციის მქონე ადამიანს, უფლებადამცველს და აქტივისტს. საჯარო სივრცე, სადაც აზრის გამოხატვა ხდება სახელმწიფოს საქმიანობასთან დაკავშირებით, არ უნდა იზღუდებოდეს და

[54] „რა ხდება, როცა სამინისტრო FB-ზე გამოხატვას გიზღუდავს? - უზენაესი სასამართლოს განჩინება“, 7 აგვისტო, 2019, იხილეთ: https://bit.ly/2K5dtHL

სახელმწიფო ვალდებულია, უფლებადამცველები და აქტივისტები ჩართოს საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

სტანდარტი: უზრუნველყავით მედიაზე წვდომა და მედიის არჩევის თავისუფლება

სახელმწიფო ინსტიტუტების და საჯარო მოხელეების გარდა, უფლებადამცველებისა და აქტივისტების შესახებ საჯარო აზრის ფორმირებაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ როლს მედია თამაშობს. უფლებადამცველების უფლებების დასაცავად აუცილებელია სახელმწიფოებმა უზრუნველყონ, რომ უფლებადამცველებს ჰქონდეთ „წვდომა და გამოიყენონ საინფორმაციო ტექნოლოგიები და მედია, მათ შორის რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი, საკუთარი არჩევანის შესაბამისად.“

მედიის თავისუფლებას უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა, რადგან „ის არის შეხედულების და გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი. “ [55] სახელმწიფოებმა არ უნდა შექმნან ბარიერები მედიაზე წვდომისა და გამოყენების პროცესში და ამით არ უნდა დააზიანონ უფლებადამცველების და აქტივისტების ინტერესები.

უფლებადამცველებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მედია, იქნება ეს შედარებით ძველი მედიაპლატფორმები - ტელევიზიები, გაზეთები და რადიო, თუ ახალი მედია - ინტერნეტმედია. უფლებადამცველები მედიასაშუალებებს იყენებენ საკუთარი საქმიანობის ხელშეწყობისთვის, საჯარო დებატებში მონაწილეობისთვის და სხვადასხვა საკითხების ადვოკატირებისთვის. ქმედებები, რომლებიც უზღუდავს მათ მედიის მეშვეობით საკუთარი შეხედულებების გამოხატვას, მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე უფლებადამცველების გავლენის შემცირებას და ხალხთან მათი კონტაქტის შეზღუდვას.

რესპონდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ საქართველოში არსებობს რამდენიმე ტიპის მედია: ერთი მხრივ, არსებობენ პროსახელისუფლებო მედიები (დიდი

[55] ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია (UN Doc: A/ HRC/RES/22/6), OP 7, აპრილი, 2013

ტელევიზიები და ონლაინმედია), მეორე მხრივ, არსებობენ მედიები, რომლებიც ფაქტობრივად, უფლებადამცველების საქმიანობას ითავსებენ, რადგან მათი საქმიანობა ხშირად გაიგივებულია სამოქალაქო აქტივიზმთან (ასევე დიდი ტელევიზიები და ონლაინმედია). არსებობს მესამე სახის მედიაც (ძირითადად ონლაინმედია ან გაზეთები), რომელიც სიძულვილის ენით საუბრობს.

სხვადასხვა რესპონდენტებმა ინტერვიუებში გამოთქვეს მოსაზრება, რომ პროსახელისუფლებო მედიასაშუალებები მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად არასამთავრობო ორგანიზაციებთან (ე.წ. გონგოებთან) [56] თანამშრომლობენ და ზოგადად, ამგვარი მედიის საქმიანობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სამოქალაქო აქტივიზმი, რადგანაც ისინი ახშობენ კრიტიკულ აზრს და არ ცდილობენ ხელისუფლების გაკონტროლებას. ბუნებრივია, რომ პროსახელისუფლებო მედიასაშუალებებს ასეთი სარედაქციო პოლიტიკის გამო ხელისუფლების მაღალჩინოსნები არ უპირისპირდებიან.

ხელისუფლების მხრიდან ხდება იმ მედიასაშუალებების (განსაკუთრებით ტელევიზიების) თავისუფლების შეზღუდვა, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილნი ხელისუფლების მიმართ. ჟურნალისტები ხშირად ხდებიან თავდასხმის მსხვერპლნი, რადგან ისინი თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე სამოქალაქო საზოგადოების წევრები ხდებიან. მაგალითად, რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა თბილისის მერის, კახა კალაძის „ფეიკ ნიუსებთან ბრძოლის კამპანია“ და ხაზი გაუსვა მის პრობლემურ მხარეს, რადგან თავი იჩინა ხელისუფლების მაღალჩინოსნის მიერ დამოუკიდებელი მედიის გაკონტროლების მცდელობამ. ამის შესახებ განცხადება სახალხო დამცველმაც გააკეთა. [57] არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კი კახა კალაძის ქცევის საპასუხოდ გამოაქვეყნეს განცხადება და

---

[56] Government-organized non-governmental organization - სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული არასამთავრობო ორგანიზაცია

[57] „კალაძის მიზანია კონკრეტულ მედიებს დაარტყას და არა ფეიკ-ნიუსებს შეებრძოლოს-ომბუდსმენი“, 25 ივნისი, 2020, იხილეთ: https://formulanews.ge/News/32144

აღნიშნეს, რომ „მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის მხრიდან კრიტიკული მედიასაშუალების მისამართით მსგავსი კამპანიის წარმოება არ შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების მოლოდინებს".[58]

რესპონდენტებთან საუბრისას არაერთხელ აღინიშნა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში კრიტიკული მედიასაშუალებები ან ჟურნალისტები მთავრობის მხრიდან ზეწოლას განიცდიან. 2019 წლის ზაფხულში, პოლიტიკური პროცესების და პროტესტის ტალღის კვალდაკვალ, ხელისუფლებამ რამდენიმე პრობლემური ნაბიჯი გადადგა. ეს მოვლენები ერთიანობაში აჩენდა განცდას[59], რომ ხელისუფლება ცდილობდა ჩაეხშო სამოქალაქო პროტესტი და დაპირისპირებოდა იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს. მაგ. „ რუსთავი 2 " -ის იმჟამინდელ გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას ბრალი წაუყენეს მას შემდეგ, რაც მან ახალი ტელევიზიის გახსნა დააანონსა[60]; „ტვ პირველის" დამფუძნებელი ვატო წერეთელი კი გამოკითხვაზე დაიბარეს.[61]

მედიასაშუალებებზე ზეწოლის ბოლოდროინდელი შემთხვევები ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ საქართველოს ხელისუფლება ებრძვის ოპოზიციურად განწყობილ, დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს. განსაკუთრებით აღინიშნა ბოლო დროს განვითარებული მოვლენები აჭარის საზოგადოებრივ ტელევიზიასა და რადიოში - არაერთი ჟურნალისტი გაათავისუფლეს სამსახურიდან კრიტიკული შეხედულებების

---

[58] „მოვუწოდებთ კახა კალაძეს იფიქროს ჟურნალისტების უსაფრთხოებაზე", 24 ივნისი, 2020, იხილეთ: https://bit.ly/3lt8FcP

[59] "თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი და მისი წევრი ორგანიზაციები ქვეყანაში დაწყებულ „ დაჭერებს" ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ პირთა რეპრესიად აფასებს", 9 აგვისტო. 2019, იხ: https://bit.ly/368qtEX

[60] „ნიკა გვარამია: შემოდგომაზე ახალი ტელევიზია ეთერში იქნება", 26 ივლისი, 2019, იხილეთ: https://bit.ly/3fJbhkH

[61] „ვატო წერეთელი - მამაჩემის წინააღმდეგ დევნის დაწყებით, ჩემზე მანიპულირებას შეეცდებიან", იხილეთ: https://1tv.ge/news/vato-wereteli-mamachemis-winaaghmdeg-devnis-dawyebit-chemze-manipulirebas-sheecdebian/

გამო და გაირკვა, რომ ტელევიზიაში სწორედ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული პოზიციები „ იდევნებოდა “ ,[62] რაც სერიოზული პრობლემაა, რადგან ჩანს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი განსხვავებული მოსაზრების მიმათ ტოლერანტული არ არის.

ის მედიასაშუალებები, რომლებიც რელიგიური, ეთნიკური და სხვა სახის დისკრიმინაციული შინაარსის მოწოდებებს ავრცელებენ, შუღლს აღვივებენ და სიძულვილის ენით საუბრობენ, რესპონდენტების აზრით, რუსული გავლენის ქვეშ არიან და ხშირად ყალბ ამბებს ავრცელებენ, განსაკუთრებით უმცირესობების და მათი უფლებების დამცველების შესახებ.[63] პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნები ამგვარ მედიასაშუალებებს საჯაროდ არ უპირისპირდებიან და უფრო მეტიც, ხშირად ხელისუფლება ასეთ მედიასთან თანამშრომლობს - მათთვის ინტერვიუების მიცემით და სტუდიაში სტუმრობით. სწორედ ასეთი ტიპის სოციალური მედია და ინტერნეტგამოცემები ახორციელებენ ხშირად ორგანიზებულ თავდასხმებს უფლებადამცველებზე.

---

[62] „აჭარის ტელევიზიასთან ალტერნატიულმა პროფკავშირმა აქცია გამართა“, 27 ივნისი, 2020, იხილეთ: https://civil.ge/ka/archives/357467

[63] იხილეთ „ მედიის განვითარების ფონდის “ 2018 წლის ანგარიში „ სიძულვილის ენა - 2018 “ https://bit.ly/2K6T3hz

სტანდარტი: გაზარდეთ ბიზნესის პასუხისმგებლობა

კვლევის მიმდინარეობისას რესპონდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა ასევე კერძო სექტორის, კონკრეტულად კი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემაც. კერძო აქტორებს შეუძლიათ, რომ ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას. მეტიც, ისინი ხშირად უფლებადამცველების შესახებ არსებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაშიც იღებენ მონაწილეობას.

გაერო-ს 1998 წლის დეკლარაცია ხაზს უსვამს, რომ უფლებადაცვითი საქმიანობის განხორციელება შეუძლია ყველა ადამიანს - ეს საქმიანობა არ მოითხოვს სპეციალურ განათლებას. მთავარია, ინდივიდს ამოძრავებდეს სურვილი, რომ ხელი შეუწყოს ქვეყანაში ძირითადი უფლებების დაცვას. ეს მიზანი იმდენად საყოველთაოა, რომ რესპონდენტების აზრით, კერძო სექტორი - ბიზნესი, მედია და რელიგიური ორგანიზაციები აუცილებლად უნდა იზიარებდნენ საკუთარ სოციალურ პასუხისმგებლობას. (რესპონდენტებმა განსაკუთრებით გამოყვეს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია - დომინანტური რელიგიური ჯგუფი, რომელიც უფლებადამცველების შესახებ არსებული სტერეოტიპების და სტიგმის გაღრმავებას უწყობს ხელს. მაგალითად, საქართველოს საპატრიარქო ღიად არის დაპირისპირებული იმ ადამიანებთან, რომლებიც ლგბტქ+ ადამიანების უფლებებს იცავენ. დაპირისპირებას აღრმავებს ისიც, რომ 17 მაისის მსვლელობის პარალელურად ხდება საპატრიარქოს ინიციატივით დაწესებული „ ოჯახის სიწმინდის დღის“ აღნიშვნა, იმისთვის, რომ გადაიფაროს 17 მაისის, როგორც ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღის მნიშვნელობა.)

„განუვითარებელია კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობა. მაგალითად, კერძო კომპანიებს ძალადობის მსხვერპლებისთვისაც კი არ სურთ რაიმეს გაკეთება,“ - ბაია პატარაია, არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ დირექტორი, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე.

„საფარის“ დირექტორმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო კომპანიების სოციალურ პასუხისმგებლობას და რომ საქართველოში მოქმედი კერძო

კომპანიები სოციალურ პასუხისმგებლობას იშვიათად იჩენენ და იშვიათად უცხადებენ თანადგომას უფლებადამცველებს და აქტივისტებს. არის რამდენიმე კომპანია, რომელიც იჩენს სოციალურ პასუხისმგებლობას, თუმცა, არსებობენ კომპანიები, რომლებიც პირიქით, საკუთარი სარეკლამო კამპანიებით ზოგჯერ სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციას ახდენენ.

საქართველოში კერძო სექტორსა და სამოქალაქო სექტორს შორის აუცილებელია მეტი თანამშრომლობა. კერძო სექტორის სოციალურ პასუხისმგებლობას, იქნება ეს ქალთა უფლებების დაცვის მიზნით აქტიურობა თუ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კამპანია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ტიპის ურთიერთობების გასააქტიურებლად და ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სხვადასხვა სექტორებს შორი დიალოგს და თანამშრომლობას. ასევე საჭიროა მომავალში ამ მიმართულებით კვლევების ჩატარება და კერძო სექტორის წახალისება.

თემატური ანგარიშის - “ უფლებადამცველთა მდგომარეობა საქართველოში - დაბრკოლებები და გამოწვევები” მთავარი მიზანია, რომ უფლებადამცველების და აქტივისტების წინაშე არსებული გამოწვევების და დაბრკოლებების განხილვას მომავალში უფრო მეტი დრო დაეთმოს, რაც თავისთავად გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ჩართვას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ვითარებაში, როცა საქართველოს მთავრობის 2018-2020 წლების ადამიანის უფლებების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში არის თავი - „ბიზნესი და ადამიანის უფლებები“. ამ თავის ერთ-ერთი ამოცანა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, მათ შორის ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ შესაბამისი ცვლილებების პაკეტის მომზადებაა (ამოცანა 25.1.6)[64], რისთვისაც, გეგმის მიხედვით, უნდა მოხდეს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, მათ შორის ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ შესაძლო წახალისების მექანიზმების კვლევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამოცანა 2018-2020 წლებში უნდა

[64] „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის“, იხილეთ: http://myrights.gov.ge/ka/plan/Action%20Plan%202020

შესრულებულიყო, თუმცა, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ მასზე მუშაობა ჯერაც არ დაწყებულა.[65]

[65] „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში“, 2019, იხილეთ: http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/5726HRAPAnnualReport-2019.pdf , გვ 265.